



MES 4 21 0000361376



15/04/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 31 მარტს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting: <https://us02web.zoom.us/j/86706980996?pwd=eHdZZnFyczBXTjFWWnBvWHhXWVpTUT09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;

ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაყვალა დ არსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "იბერია":

ირაკლი ავალიანი - დირექტორი;

ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე;

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი;

ბერიკა უშვერიძე - მატერიალური შესყიდვების კოორდინატორი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი;

ნანა მაკარაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“:

მამია ჯანჯალია - დირექტორი;

თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე;

ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერი;

ნიკა ყრუაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ ხელმძღვანელი.

სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“:

თეანა ქუხილავა - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ მანია - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი:

ზვიადი არძენაძე - დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

ნანა მთვარელიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ბოტკოველი

ალექსანდრე კეკენაძე

თამარ ახალაძე

ალინა კუპრავა

თინა შელია

გივი დოლიძე

მანანა კობალაძე

ლევან მადათოვი

დავით გუდაძე

ნატალია დარჩინიანი

პაატა ცაგარეიშვილი

ნაზო წიბლიაშვილი

გიორგი ხაბეიშვილი
ნია გუგუნავა
მანანა მოისწრაფიშვილი
ზაირა ბერიძე
გივი დოლიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:04 საათი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი. საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა შორენა ჯაფარიძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა-მეჩაიეობა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფილამწყობი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ელექტრობა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „თმის სტილისტი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კონსულტანტ-გამყიდველი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სატყეო საქმე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კულინარიის ხელოვნება“, „მეხილეობა“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოები)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
13. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განხორციელების ადგილის/ფართის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა. მან თავდაპირველად წარმოადგინა ინფორმაცია იმ კომპონენტების შესახებ, რომელიც კოლეჯის ყველა პროგრამას ეხება, შემდეგ კი ექსპერტებმა თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე პრეზენტაციები წარმოადგინეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 9 თებერვლის MES 4 21 0000081403 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების ადგილის ცვლილების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ბრძანების საფუძველი გახდა სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რამდენადაც დაწესებულება ავტორიზებულია, ექსპერტების მიერ გადამოწმდა მხოლოდ ის კომპონენტები, რომლებიც ფართის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა,

განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ბიბლიოთეკარს, ექთანს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის თანახმად [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 03.04.32.234] კოლეჯი განთავსებულია ქ. ქუთაისში, ზ. ანჯაფარიძის ქ, N61- ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართზე (8195.00 კვ.მ.) განთავსებულ 8 შენობა-ნაგებობაში, საერთო ფართით 2842.76 კვ.მ.:

შენობა N1 – საერთო ფართით 2059.62 კვ. მ. (სასწავლო აუდიტორიები)

შენობა N2 – საერთო ფართით 304.69 კვ.მ. (სასწავლო სახელოსნოები)

შენობა N3 – საერთო ფართით 203.62 კვ.მ. (სადურგლო სახელოსნო)

შენობა N4 – საერთო ფართით 20 კვ.მ. (გარე სანკვანძი)

შენობა N5 – საერთო ფართით 17. 01 კვ.მ. (საქვაბე)

შენობა N6 – საერთო ფართით 5.76 კვ.მ (საქვაბე)

შენობა N7 – საერთო ფართით 169.91 კვ.მ. (აუზი)

შენობა N8 – საერთო ფართით 62.15 კვ.მ. (დამხმარე)

არსებული ფართი დასტურდება, ასევე შპს „ჯეოსერვაიერის“ მიერ შესრულებული, რვავე შენობის აზომვითი ნახაზებით სართულების მიხედვით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საჯარო რეესტრით წარმოდგენილ ფართთან, ხოლო ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის N003615120 (42 ფურცლად) თანახმად - ქ. ქუთაისში, ზ. ანჯაფარიძის ქ.N61-ში სსიპ კოლეჯი „იბერია“-ს რეაბილიტაციაზე შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულების და ვიზუალური დათვალიერებით შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. კოლეჯმა წარმოადგინა შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები: N102; N110; N121; N210; N223; N224

- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები: N103; N201; N203

- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები: N101; N111; 119; N120; N202; N210; N214; N302; N303; N304

- ადმინისტრაციული სივრცე: N106; N108; N204; N205; N208; N2013

- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის: N211

სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის: N109

- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის: N122; N225; N226

- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის: N220

- სანიტარიული კვანძი /ები, შშმ პირთათვის: N113; N216

- ბიბლიოთეკა. სამკითხველო დარბაზი:N 211

- სივრცე არქივისთვის: N 212

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ონლაინ დათვალიერების და ზემოხსენებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ახლად რეაბილიტირებული სსიპ კოლეჯი „იბერია“ უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. კოლეჯს აქვს მოწესრიგებული ეზო, შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები, პანდუსები, ლიფტები. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით, დაფებით, ასევე, თითოეული პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსითა და ნედლეულით, რაც ასევე დასტურდება, კოლეჯის დირექტორის და ფინანსური მენეჯერის ხელმოწერილი, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესრულებული საინვენტარიზაციო აღწერილობით. კოლეჯის შენობა-ნაგებობა

უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. შენობა ახლად რეაბილიტირებულია და შესაბამისად კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიული სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს უწევს მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯ „იბერიაში“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს. შრომის უსაფრთხოების მიზნით, კოლეჯში ჩატარებულია შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახული იყო დაწესებულების შენობა სხვადასხვა რაკურსით.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღწერა, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის შინაგანაწესი, რომლის გაცნობის ვალდებულება აქვს როგორც კოლეჯში დასაქმებულ ყველა პირს, ასევე ყველა პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯის საკუთრებაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან. კოლეჯის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერები, წარმოდგენილი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტები გვამღებს უფლებას, ვთქვათ, რომ კოლეჯის სივრცეში დაცული იქნება წესრიგი. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილ უსაფრთხოების კამერები. კამერების ჩანაწერები კონტროლდება შენობის პირველ სართულზე განთავსებულ მონიტორზე და მასზე 24 საათის განმავლობაში პასუხისმგებელი პირია დარაჯი.

ამასთან, სსიპ - კოლეჯი „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები. წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს. წესის თანახმად განსაზღვრულია, რომ კოლეჯის ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესებს და მის გაცნობას აფიქსირებდეს ხელმოწერით. საგანგებო კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის უფროსი, საევაკუაციო ჯგუფის უფროსი, შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი, მედდა და სახანძრო ჯგუფის უფროსი. კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ხორციელდება კოლეჯის საზოგადოებისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით, კოლეჯი აღჭურვილია საჭირო რაოდენობის ცეცხლმაქრებით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით, საევაკუაციო გეგმით, რომელიც გამოკრულია შესაბამის ადგილებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შემუშავებულია კოლეჯი „იბერიის“ პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, რომლის თანახმად კოლეჯი ორიენტირებულია შრომის უსაფრთხოების კულტურის ფორმირებაზე და მის მუდმივ განვითარებაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა თითოეულმა თანამშრომელმა და პროფესიულმა სტუდენტმა იზრუნოს, როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირების უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვაზე. შემუშავებულია ასევე შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის, რომელიც ადგენს შრომის დაცვის ძირითად მოთხოვნებს, დასაქმებულთა ძირითად ვალდებულებებსა და აკრძალვებს. კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია და შესაბამისად დაწესებულებას ჰყავს შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი (მისი კვალიფიკაცია დგინდება შესაბამისი სერტიფიკატით). რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ჩართულობით შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N19, 24.02.2021 დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები კოლეჯში არსებული პროგრამებისთვის; პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებული

პირები იცნობენ შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტებს და იგეგმება პერიოდულად მათთვის ინსტრუქტაჟების ჩატარება.

ასევე, კოლეჯის შენობის ორივე სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები (2-2 კაბინა ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის). ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათლების უწყვეტი მიწოდებით. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ასევე პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

გარდა ამისა, კოლეჯს აქვს სპორტული დარბაზი. ადმინისტრაციის კაბინეტებისათვის გამოყოფილია 7 აუდიტორია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კოლეჯის შინაგანაწესით (მუხლი 37 - პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები) დადგენილი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის უფლება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობის შესახებ. კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკა. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2019 წლის 25 აგვისტოს N43 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. კოლეჯში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. შექმნილია ელექტრონული კატალოგი და არსებული ფონდი სისტემატიზირებულია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 6 მაგიდა სტუდენტებისთვის, ასევე, ქსელში ჩართულია 2 კომპიუტერი და სტუდენტების საჭიროებებისთვის განკუთვნილია 2 კომბაინი. კოლეჯს აქვს B გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები. შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები (დირექტორის ბრძანება N23, 24.02.2021), რომლის მიხედვით, კოლეჯში დანერგილი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების სწორი და უსაფრთხო სარგებლობის მიზით, ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობას და შესაბამისი ინსტრუქციების ხელმისაწვდომობას. პროფესიული სტუდენტებისათვის, ნებისმიერ დროს, ხელმისაწვდომია, ასევე, ელექტრონული სასწავლო რესურსი, რომელიც განთავსებულია Office 365-ის პლატფორმაზე. პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები კიბერჰიგიენაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კოლეჯის შენობა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა მიმართულია დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვისაკენ. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისი და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

კოლეჯში, ასევე, არის ახალგაზრდული სივრცე, რომელიც ქ. ქუთაისის მერიის და ახალგაზრდული სააგენტოს ინიციატივით და ხელშეწყობით მოეწყო. აქ განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, ჭკვიანი და მაგნიტური დაფა, პროექტორი, კომბაინი, მხატვრული ლიტერატურა, სათამაშო მოწყობილობები.[sj1] კოლეჯში არის ასევე სამედიცინო ოთახი. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N137 ბრძანებით დამტკიცებულია ასევე პირველადი გადაუვადებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის 24 თებერვლის 2021 წლის N20 ბრძანებით დამტკიცებულია ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი, შრომის უსაფრთხოების რისკები და საფრთხეების შეფასების ჟურნალი, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჟურნალი, აღრიცხვის ჟურნალი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღსარიცხად. კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მედდა, გამოყოფილია

კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით თუ რესურსით, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური პირველადი დახმარების აღმოჩენას, მედდასთან გაფორმებულია უვადო ხელშეკრულება, დაწესებულებას გახსნილი აქვს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი, რომელსაც აწარმოებს მედდა.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა შთაბეჭდილია და მისასალმებელია მსგავსი ინფრასტრუქტურის ქონა საქართველოში, რომელიც არ ჩამოუვარდება არც ერთ ევროპულ სტანდარტს.

საბჭოს წევრმა ითხოვა ინფორმაციის დაზუსტება გარე ლიფტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან შენობა ქუჩიდან დაბლა მდებარეობს და საჭიროა რამდენიმე საფეხურის ჩავლა შენობამდე მიმსასვლელად ლიფტი უზრუნველყოფს მიღწევადობას და ინკლუზიურობას. მიუხედავად იმისა, რომ ლიფტი არ არის დახურული, აქვს დამცავი ზღუდე და მისი გამოყენება სრულიად უსაფრთხოა.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ, ასევე, სთხოვა ექსპერტს განემარტა შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები კოლეჯს ანუ თითოეული პროგრამის ცალკე აქვს თუ ყველა პროგრამისათვის არსებობს ერთი ინსტრუქცია. ექსპერტმა დააზუსტა, რომ შემუშავებულია როგორც ზოგადი სახის ინსტრუქცია ყველა პროგრამისათვის, ასევე ინდივიდუალური ინსტრუქცია თითოეული პროგრამისათვის.

საერთო მიმოხილვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა საბჭოს წარუდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების ადგილის ცვლილების საკითხთან დაკავშირებული მასალები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში შემოწმდა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტები და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტები, რამდენადაც, ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით მხოლოდ აღნიშნული კომპონენტებია საინტერესოა. ამ კომპონენტების მიხედვით, პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების 100%-ის მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, 2 ცვალში) გათვალისწინებით. კოლეჯს, ამ პროგრამის ფარგლებში, არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან. სასწავლო აუდიტორიის ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია და აღჭურვილია ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე, ექსპერტების შეფასებით აუდიტორიაში განთავსებული მასალა და აღჭურვილობა (15 კომპიუტერი+1) სრულად აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მტკიცებულების სახით წარმოდგენილია კომპიუტერული აუდიტორიის ამსახველი ფოტომასალა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N60 ბრძანების დანართი 1-ით დამატებული „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“, რომლითაც გასნაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდაჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მიერ. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური სპეციალისტი, თუმცა ამ ეტაპზე არ ჰყავს ინკლუზიური სტუდენტი.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, ექსპერტებმა დაწესებულება შეამოწმეს მე-2 სტანდარტის 2.2.1. კრიტერიუმის მე-3 და მე-6 ინდიკატორების მიხედვით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულებში გათვალისწინებულია ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრული სწავლების სარეკომენდაციო თანამედროვე მეთოდები. პროფესიულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები და აქტიურად იყენებენ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისათვის შეძენილია ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალე.

ასევე, შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ჩართულობით შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N19, 24.02.2021 დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამისათვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლა ხორციელდება 2 ცვლაში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება არ აქვს, რადგან მათ ადგილზე აქვთ ყველა ის მოწყობილობა, რომელიც პროგრამის განხორციელებისათვის არის საჭირო. აღნიშნული დასტურდება დისტანციური დათვალიერებით, დოკუმენტაციით და გასაუბრებით. დაწესებულების საკუთრებაში არსებული ტექნიკა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და გარდა ამისა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, კოლეჯი მზადაა დისტანციური სწავლების პირობებში უზრუნველყოს სტუდენტები კომპიუტერებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელებას.

საბჭოს წევრებმა იმედი გამოთქვეს, რომ კარგი ტრადიცია, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური პერსონალი და სხვა ყველაფერი დაწესებულებას უფრო მიმზიდველს გახდის და მიღწეული იქნება კურსდამთავრებულთა დასაქმება.ამასთან, დაწესებულება მდებარეობს რეგიონში, რაც ნიშნავს რომ პრაქტიკის ობიექტის მოძიება ხშირად რთულია, ხოლო დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა ზრდის ეფექტურობას. საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური კადრები და დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვეს გაეზიარებინა გამოცდილება, თუ როგორ შეძლეს რეგიონში მსგავსი კადრების მოძიება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც კოლეჯში მის დანიშვნამდე მუშაობდა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა შენობის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის საკითხი და დაწესებულებას, ქუთაისს და რეგიონს მიულოცა მსგავსი გამართული კოლეჯის არსებობა და გამოთქვა იმედი, რომ სტუდენტების რაოდენობაც გაიზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება(დანართი 1)

2. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა მხოლოდ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტები და ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ე.ა" და "ე.ბ" კომპონენტები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების 100%-ის მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, 2 ცვლაში) გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც იგეგმება გაცნობითი ექსკურსიების ჩატარება, ეს ობიექტებია: საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი; არასამთავრობო ორგანიზაცია „ქუთაისის განათლების და განვითარების ცენტრი“ და შპს „აქტივი“.

ამასთან, სასწავლო აუდიტორიის ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია და აღჭურვილია ჯგუფებში 15 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიაში განთავსებული მასალა და აღჭურვილობა (21 კომპიუტერი, აქედან 1 პროფესიული მასწავლებლისთვის, 15 პროფესიული სტუდენტისთვის, 5 სასწავლო პროცესში მანიპულაციებისთვის) სრულად აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N60 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურების გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურებები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდაჭერის ჩართვას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ექსპერტების მიერ შეფასებისთვის, ასევე, შემოწმდა შეამოწმეს მე-2 სტანდარტის 2.2.1. კრიტერიუმთან შესაბამისობა. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებში გათვალისწინებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული

სწავლების სარეკომენდაციო მეთოდები. პროფესიულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები და აქტიურად იყენებენ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს.

ამასთან, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობით.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის შეძენილია ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალე.

გარდა ამისა, შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ჩართულობით შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N19, 24.02.2021 დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ორი სხვადასხვა საფეხურის პროგრამა, რომელთაც განსხვავებული პირები ხელმძღვანელობენ. ვიზიტის ფარგლებში გამოჩნდა, რომ ამ პროგრამის ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს ხარისხსა და პროგრამების შეფერხებების გარეშე განხორციელებას. პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფა გამართულია.

საბჭოს წევრებმა დარგის ექსპერტისაგან ითხოვეს დაზუსტება, რამდენად მიზანშეწონილია პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული გასვლითი ექსკურსიები, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებას აქვს აღჭურვილობა, რომელიც მოდელის განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს, სრულიად საკმარისია პრაქტიკული ნაწილი დაწესებულებაში განხორციელდეს, ამასთან ხშირად პრაქტიკის ობიექტებზეც კი რთულია იმგვარი აღჭურვილობის ნახვა, როგორც კოლეჯშია წარმოდგენილი. გასვლით ექსკურსიებს კი შესაძლოა მარკეტინგული მიზანი ჰქონდეს, რაზეც საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ რეალური სამუშაო გარემოს ჩვენება ყოველთვის დამატებითი პლუსია და მსგავსი ექსკურსიების მიზანი შესაძლოა სტუდენტებისთვის მომავალი სამუშაო გარემოს გაცნობა იყოს, რათა სტუდენტებმა გაიგონ როგორ ხორციელდება შრომითი ურთიერთობები ან ხდება ამა თუ იმ პროექტის/დაკვეთის/დავალების შესრულება. მუშა გარემოს გაცნობა მხოლოდ მარკეტინგული თვალსაზრისით არ იქნება მომგებიანი, არამედ სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვისაც. რასაც ექსპერტიც დაეთანხმა. ამავე საკითხზე ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაცნობითი მოდული ჩარჩო დოკუმენტის შემადგენელი ნაწილიცაა, ამრიგად დაწესებულებას უნდა შეძლოს გაცნობითი პრაქტიკით მისაღწევის შედეგების უზრუნველყოფა და დადასტურება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (დანართი 2).

3. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა-მეჩაიეობა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შეფასდა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტები და ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ე.ა" და "ე.ბ" კომპონენტები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსით.

„მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (15 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. პროგრამისათვის გამოყოფილია A და B გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აქ განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო ყველა ინვენტარი (მაგიდები, სკამები, 15+1 კომპიუტერი).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა დუალური მიდგომით ხორციელდება და პრაქტიკული კომპონენტი მთლიანად გადატანილია პარტნიორი კომპანიების ბაზაზე. ეს კომპანიებია: ფონდ „აფხაზინტერკონტთან“ არსებული სოციალური საწარმო „აგამა“, შპს „თ-სულორი“, შპს „ანდიტრი“, შპს „კარტლის აგროსისტემები“. რამდენადაც დაწესებულების მიერ ფართის ცვლილების კონტექსტში არ განხორციელებულა პარტნიორი კომპანიების ცვლილება და არ შეცვლილა, ასევე, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, ამ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ გახდა საჭირო ექსპერტების მიერ პარტნიორი კომპანიებთან დისტანციურად ჩართვა და მათთან გასაუბრება. დაწესებულებამ პროგრამის დანართის სახით წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის სრული ჩამონათვალი და იმ აღჭურვილობის ფოტომასალა, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში ჯერ კიდევ შესყიდვის პროცესში იყო.^[sj2] როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას აღნიშნა, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, როგორც კოლეჯში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე და ადგილმდებარეობის ცვლილებას სასწავლო პროცესზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N60 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურების გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდაჭერის ჩართვას.

გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური სპეციალისტი.

ექსპერტების მიერ შეფასებისთვის დაწესებულება შემოწმდა მე-2 სტანდარტის 2.2.1. კრიტერიუმის მიხედვით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებში გათვალისწინებულია

ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სწავლების სარეკომენდაციო მეთოდები. პროფესიულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები და აქტიურად იყენებენ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ პარტნიორი ორგანიზაციები დარგობრივად სწორად არის შერჩეული. ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ფართის ცვლილებას უარყოფითი გავლენა არ ჰქონია სასწავლო პროცესის განხორციელებაზე და შეუფერხებლად მიმდინარეობს. [sj3]

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა-მეჩაიეობა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: განხორციელდეს სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის /ფართის ცვლილება (დანართი 3).

4. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ალინა კუპრავამ. მან განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტის ადგილით, პროგრამისათვის გამოიყენება A/ B გარემო, კოლეჯის სასწავლო აუდიტორიაში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი/სკამი, პროფესიული სტუდენტისათვის კომპიუტერები სულ 15 ც და 1 ც პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, ასევე პროექტორი. ერთ ცვლაში შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის განთავსება, დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში. გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში დაწესებულებას თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს „აქტივთან" და არასამთავრობო ორგანიზაცია ქუთაისის „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან", მემორანდუმის შინაარსის ანალიზით და გასაუბრების შედეგების თანახმად, ამ ორგანიზაციებში სასწავლო ექსკურსიები ხორციელდება. შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

წინა ვიზიტის ფარგლებში შესაბამისობის მიზნით გაცემული იყო რამდენიმე რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა 2.2.1. კომპონენტს (პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით): „დაწესებულებას შესყიდული არ აქვს აღჭურვილობის ნაწილი. აღჭურვილობის შესყიდვას ახდენს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რაც დასტურდება ელექტრონული მიმოწერით. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/72 ბრძანებით დამტკიცებული სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა. მასში გაწერილია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსების ოდენობაა 85485 ლარი და ამ პროცესის

დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 3 იანვარი. გეგმაში ასევე გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით (COVID-19) რთულია UNDP-ის მიერ შესყიდვების პროცესის პროგნოზირება“. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში 49289 \$-ის (126906.75 ლარი) მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერი, პროექტორი, GPS ნავიგატორი, ბენზოხერხი, სარგავი აგრეგატი, გუთანნი, ნიადაგის ღრმად დასამუშავებელი(საპლანტაჟე) გუთანნი, ნარგავების ამომღები აგრეგატი, დასაფარცხი აგრეგატი, კულტივატორი, ამომძირკველი, სათესი აგრეგატი და სხვ.) მიღება-ჩაბარების აქტები. რითაც უზრუნველყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა 2.3.1. კომპონენტს (პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით): „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ „პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით“. ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, ზემოაღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება, რომ პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცედურის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავების პროცედურა მოიცავს დაგეგმვის ეტაპსაც, სასურველია ზუსტად იკვეთებოდეს, პროგრამაში ცვლილება რომელი პროცედურით ხორციელდება. დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი შესაბამისი უწყების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირების გზით, სასურველია, აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული გათვალისწინებულია (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი; ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N06-01/40 დადგენილებით). მარეგულირებელში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე „პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის; პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების; არჩევითი მოდულის შემთხვევაში, შრომის ბაზრის მოთხოვნის (რომელიც უკავშირდება კონკრეტული დამსაქმებლის ან რეგიონის მოთხოვნებს) საფუძველზე; ერთი მოდულის მეორით ჩანაცვლების შემთხვევაში; ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე.“

მესამე რეკომენდაცია შეეხებოდა 2.4.1. კრიტერიუმს (სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას):

1. „დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში საუბარია, რომ „მოდული, თუ კი არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“. სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, თუ როდის, რა ვადაში ინიშნება განმეორებითი შეფასება და გათვალისწინებულ იქნას აპელაციის შემდგომ ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო კომისიის მიერ დაინიშნება განმეორებითი შეფასებები. ზემო აღნიშნულის დროს, რეგულაციით ერთ კვირიან ინტერვალში შეუძლებელია განმეორებითი შეფასების ჩატარება შედგენა“ - ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარის განმარტებით აღნიშნული გათვალისწინებულია; (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N06-01/40 დადგენილებით). მარეგულირებელში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე „მოდული თუკი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“. უნდა აღინიშნოს რომ სასწავლო გეგმით დაწესებულებას წინაპირობიანი მოდულის განხორციელება დაგეგმილი აქვს უფრო მეტი ინტერვალით.

2. „სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთებოდეს სტუდენტთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით აღნიშნული გათვალისწინებულია; (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N06-01/40 დადგენილებით). მარეგულირებელში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე „პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფი, პროფესიული სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას. შემუშავებული გეგმა წარედგინება ცენტრის დირექტორს (და მოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით)“;

3. „უნივერსიტეტის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო; სსიპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღი) დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რომლებიც გაფორმებულია მიმდინარე წლის 4 ივნისს და ძალაშია მის გაუქმებამდე. სასურველია მემორანდუმებში მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები ძალაშია უვადოდ, ან მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული გათვალისწინებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა შეცვლილი მემორანდუმები რომელშიც მითითებულია რომ გაფორმებული მემორანდუმები ძალაშია პროგრამის განხორციელების ვადით.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ წარდგენილი აღჭურვილობა სრულიად საკმარისია მიზნების მისაღწევად, მატერიალური და ადამიანური რესურსი საკმარისია, როგორც პროფესიული ისე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს არ უშლის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, განათლების სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამას და შვეიცარიის განვითარების განვითარების სააგენტოს. მოხდა დაწესებულების ძვირადღირებული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სატყეო საქმე“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სატყეო საქმე“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

11. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ალინა კუპრაევამ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 9 მარტის N205214 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმება (სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ 2021 წლის 24 თებერვალს N 155709 წერილში ასახული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით), დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (არაგეგმური მონიტორინგი). დაწესებულება ითხოვდა, პროგრამის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში (224 პროფესიული სტუდენტი), „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქვოტა ნაცვლად 28-სა განსაზღვრულიყო 84 პროფესიული სტუდენტით. რამდენადაც, სწავლება პროგრამაზე მიმდინარეობს ორ ცვლად, პროგრამა არის სამწლიანი და თითოეულ წელს კოლეჯს შეუძლია ორ-ორი ჯგუფის მიღება, ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც მიეწოდათ ექსპერტებს. შედგა მონიტორინგის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 12 მარტს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან და დათვალიერდა მატერიალური რესურსები, მათ შორის ინტეგრირებული პროგრამის მოდულებისთვის დაწესებულების მიერ 2021 წლის 24 თებერვალს N155709 წერილში მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტების მიერ დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დასაბუთება და სასწავლო გეგმა, დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. მან განმარტა, რომ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება B/C გარემოს სამუშაო ადგილების რაოდენობის ჯამის 2-ზე გამრავლებით, 8 აუდიტორიის ორ ცვლაში გამოყენების პრინციპით - ჯამში 224 პროფესიული სტუდენტი (16 ჯგუფი), რაზეც მიღებული აქვს დაწესებულებას ავტორიზაცია. ინტეგრირებული პროგრამისთვის განსაზღვრულია ოთხი აუდიტორია (3 B გარემო და 1 C გარემო). სამუშაო ადგილების რაოდენობა გამოანგარიშებულია პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობის და სპეციალიზებული ლაბორატორიის გათვალისწინებით, რომელშიც ხორციელდება მეცნიერების და ტექნოლოგიების მოდული. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება სამწლიანია და თითოეულ წელს იგეგმება 2 ჯგუფის (28 სტუდენტი) მიღება და სასწავლო გეგმის მიხედვით მეცნიერების და ტექნოლოგიების მოდულის დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 5 საკონტაქტო საათია კვირაში, ჯგუფების მაქსიმალური რაოდენობის შემთხვევაშიც კი (6 ჯგუფი - 84 სტუდენტი) აუდიტორიის დატვირთვა კვირის განმავლობაში (30 სთ) შეადგენს აუდიტორიის სრულ კვირულ საათობრივ სიმძლავრის (60 სთ.) ნახევარს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ორცვლიანი რეჟიმით. ამდენად, ექსპერტები დაეთანხმნენ საგანმანათლებლო დაწესებულების თხოვნას და დაადასტურეს, რომ კოლეჯს აქვს საშუალება დადგენილი კვოტის ფარგლებში (224) მიიღოს 84 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულ მოდულებიან პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს სულ 45, მათ შორის დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 14, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების ჯამური რაოდენობა შეადგენს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დატვირთვა არ არის 40 საათზე მეტი. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებულებამ პერსონალთან ასევე გააფორმა ხელშეკრულების დანართები დისტანციური პლატფორმით სასწავლო პროცესის წარმართვის განხორციელების შესახებ. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. გარდა ამისა, „ვებტექნოლოგიების“ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირადი საქმეებით, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სამუშაო გამოცდილებით. საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში, რაც დასტურდება გასაუბრების შედეგებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „ვებტექნოლოგიების“ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართული იყო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია

შესაბამისი აუდიტორიის ნებისმიერი კომპიუტერიდან, ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებიდან და ბიბლიოთეკაში დაცული CD/DVD დისკებიდან, რომელთა მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და გამოიყენება სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, „ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვა სასწავლო რესურსების ადაპტირებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების მასწავლებელს განსაზღვრული აქვს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქცია. სსსმ პირებისათვის შესაბამისი სერვისებით სარგებლობის მიზნით ადაპტირებულია გარემო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის ფარგლებში არ ჰყავს სსსმ პირი, რომელსაც აღნიშნული სერვისით სარგებლობა დასჭირდა, თუმცა კოლეჯში შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია ყველა შესაძლო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პროგრამას. შემოსავლის წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული (მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული) და პროგრამული დაფინანსება. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული დასტურდება შემდეგი მტკიცებულება/ინდიკატორებით:

- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პირადი საქმეები, ხელშეკრულებებით;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
- ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N96 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- დოკუმენტების შესწავლით და ონლაინ დათვალიერებით მატერიალური რესურსების შეფასების შედეგებით;
- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ C გარემო შემოწმდა დეტალურად, შემოწმდა ასევე ადამიანური რესურსის დატვირთვა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსის თვალსაზრისით სრულად შეესაბამება სტანდარტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მონიტორინგები ხელს უწყობს მაღალი შედეგების მიღწევას და გამოთქვა იმედი, რომ მომავალში გაამართლებენ მოლოდინებს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო პროგრამის შეცვლილი პარამეტრები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი..

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. პროგრამის პარამეტრები ჩამოყალიბდეს დანართის ახალი რედაქციის მიხედვით (დანართი 10)

.

12. სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კულინარიის ხელოვნება“, „მეხილეობა“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოები)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მანანა მოისწრაფიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 3 აგვისტოს №655086 ოქმი) სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 09 თებერვლის N81395 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად შემოწმდა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ საგანმანათლებლო პროგრამების - "კულინარიის ხელოვნება", "მეხილეობა", "იატაკისა და ფილის სამუშაოები" და "კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ("კულინარიის ხელოვნება", "მეხილეობა", "იატაკისა და ფილის სამუშაოები" და "კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" მომზადებული დასკვნების თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე, დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის შესაბამისად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით), ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ ამჯერად შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაში.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა თითოეული რეკომენდაცია. „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა 2.2.1.1 ინდიკატორს, „რეკომენდაცია მიეცეთ, გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადებში (25 დეკემბერი 2020 წელი), უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის დარჩენილი ნაწილის შესყიდვა, რათა საფრთხე არ შეექმნას პროგრამაზე სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით წარმართვას“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული შესრულებულია.

„მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შეეხებოდა 2.2.1. (1) კრიტერიუმს, „სასურველია კოლეჯმა მოახდინოს იმ მოდულების სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომლის სწავლებაც იგეგმება კოლეჯის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული შესრულებულია.

გაცემული იყო ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები:

- 2.1.1. (3). სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ გარკვეული უზუსტობების გამორიცხვის მიზნით. კერძოდ: რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2;
- 2.2.1. (7). სასურველია ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორდეს უზუსტობა;
- 2.2.1. (1). „მეხილეობის“ პროგრამის 23 სავალდებულო მოდულს ახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია კოლეჯმა დაიმტკიცოს კიდეც ერთი განმახორციელებელი პირი, ორცვლიანი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით;
- 2.4.1.(5). სასურველია შპს „გემუანთან“ გაწერილი ხელშეკრულება გაფორმდეს ერთ წელზე მეტი ვადით, მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

„იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შეეხებოდა 2.2.1.(1). კრიტერიუმს, „ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რეკომენდირებულია სწავლის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ“. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში შეტანილია ბეტონმრევი. ექსპერტებმა დაწესებულების დათვალიერების და ინტერვიუების დროს დაადგინეს, რომ ბეტონმრევი დაწესებულებას არ აქვს შესყიდული, აქვს ელექტრომიქსერი. - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, რეკომენდაცია შესრულებულია. წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა, ასევე, განმავითარებელი რეკომენდაციები:

- ვებგვერდზე განთავსდეს განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები;
- 2.1.1.(3) ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2;

- 2.4.1.(6). ექსპერტთა შეფასებით A და B გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში;
- 2.4.2.(4). რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდგომი განვითარებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

„კედლის დაფარვის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შეეხებოდა:

- 2.1.1.(7) ინდიკატორს - „ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კედლის დაფარვის სამუშაოები არის შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კედლის დაფარვის სამუშაოები“ აერთიანებს სამ არჩევით კონცენტრაციას. ერთ-ერთი კონცენტრაციაა „სამღებრო სამუშაოების შესრულება“. პროგრამის სახელწოდებად ნაცვლად „სამღებრო სამუშაოების შესრულება“ განსაზღვრულია „კედლის დაფარვის სამუშაოები“. „კედლის დაფარვის სამუშაოები“ არის ფართო მცნება, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც „საბათქაშე სამუშაოების წარმოების“ (პირველი კონცენტრაცია), ასევე, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ (მესამე კონცენტრაცია) მოდულებს; ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდება დაკონკრეტდეს და დაერქვას „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ ან „სამღებრო სამუშაოების შესრულება“)“ ;
- 2.2.1.(1) ინდიკატორს - „ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რეკომენდირებულია სწავლის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

გაცემული იყო, ასევე, განმავითარებელი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაწესებულების ვებგვერდზე განთავსდეს განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები;
- 2.1.1.(3). ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2;
- 2.4.1.(6). ექსპერტთა შეფასებით A და B გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებითი უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში;

- 2.4.2.(4). რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის
- ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდგომი განვითარებისთვის;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაციები შესრულებულია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტისას დაფიქსირებული მეტწილი შესაბამისობის გამო, მიმდინარე ვიზიტზე შემოწმდა ყველა ნივთი და დოკუმენტაცია და დასტურდება, რომ თითოეული ნივთი დაწესებულების მფლობელობაშია. განმავითარებელი რეკომენდაციებიც გათვალისწინებულია. ასევე, ხელშეკრულებაში მითითებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც 1 წელს შეადგენდა, გასწორებულია, ახლა გახლავთ პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობა. დასტურდება, რომ კოლეჯმა შეასრულა ყველა რეკომენდაცია.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრმა და საბჭომ ერთად იხილა ხარისხობრივად როგორ გაუმჯობესდა კოლეჯების ინფრასტრუქტურა. მან სთხოვა კოლეჯებს მაქსიმალურად გაავრცელონ ინფორმაცია ამ აღჭურვილობის შესახებ, რა შესაძლებლობებს ქმნის მსგავსი ინფრასტრუქტურა და პროგრამები. ამ ეტაპზე მთავარია გაიზარდოს მსურველთა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში, ამიტომ საჭიროა მეტი აქტიურობა ცნობადობის ასამაღლებლად. გამოცდილება აჩვენებს, რომ კოლეჯებს უჭირთ სტუდენტების მოზიდვა და მნიშვნელოვანია ამ მხრივ მუშაობა, რათა სიტუაცია გაუმჯობესდეს.

საბჭოს წევრებმაც გამოთქვეს იმედი, რომ უახლოეს მომავალში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოები)“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოები)“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

13. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის განმარტებით, მიმდინარე წლის 19 მარტს, შპს „მარნეულის საზოგადოებრივმა კოლეჯმა“ მიმართა ცენტრს წერილით და ითხოვა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების თაობაზე, რადგანაც როგორც წერილშია მითითებული, , ამ პროგრამებზე სტუდენტები არ ჰყავთ. 18 მარტის ბრძანებით გაუქმდა ეს პროგრამები და შესაბამისად, ითხოვენ საბჭოზე შუამდგომლობას, რომ საბჭოს გადაწყვეტილებაში გაუუქმდეთ მოცემული პროგრამები, რათა ეს რესურსები მომავალში სხვა პროგრამების დასამატებლად გამოიყენონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2019 წლის შემდეგ, ამ პროგრამით არც ერთ პროფესიულ სტუდენტს არ უსარგებლია, ამიტომ დაწესებულებამ გადაწყვიტა ამ პროგრამისათვის განკუთვნილი რესურსები მიმართონ სხვა პროგრამებისკენ. დაახლოებით 80

ადამიანის კონტინგენტს იჭერდა ეს პროგრამები. პროგრამებზე მოთხოვნის ერთგვარი „არაპოპულარობა“ შესაძლოა განაპირობა, პროგრამებზე დაშვების წინაპირობამ, რომელსაც სრული ზოგადი განათლება წარმოადგენს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N 124 გადაწყვეტილებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება „შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N 124 გადაწყვეტილებაში“ (დანართი 11).

14. სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნანი დალაქიშვილის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარე წლის 19 მარტის სხდომაზე განხილული იყო სსიპ - კოლეჯი „აისში“ „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი, რომელიც საბჭოს შუამდგომლობით იყო ჩანიშნული. მონიტორინგის მიზანი იყო „შედულების“ პროგრამისათვის შემენილი აღჭურვილობის შემოწმება კაჭრეთის ლოკაციაზე. ექსპერტებმა წარმოადგინეს დასკვნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ ყველა აღჭურვილობა, რომელიც სჭირდება „შედულების“ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, დაწესებულებას შემენილი და განთავსებული ჰქონდა შესაბამის სახელოსნოში. აპარატების რაოდენობა შესაბამისი იყო სტუდენტთა რაოდენობის, დასტურდებოდა ამ აღჭურვილობის სრული კომპლექტაცია, ფოტომასალით დასტურდებოდა ეს ყველაფერი. საბჭოს სხდომაზე ქრისტინა რზგოევა და ნინო ველთაური დაინტერესდნენ მოცემული აღჭურვილობის უსაფრთხოების საკითხებით, მოისაკლისეს სრულ კომპლექტაციაში გამწოვების არსებობა, ფოტომასალაზე არ ჩანდა დამონტაჟებული გამწოვი. ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან ნათქვამი იყო, რომ ამ აღჭურვილობას არ სჭირდება ერთიანი გამწოვი სისტემა, არამედ ამ კომპლექტაციაში შედის ბოლის გამწოვი, რომელიც როგორც ექსპერტმა აღნიშნა, არ იყო დამონტაჟებული, ამიტომ ფოტომასალაზე ვერ აისახა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდა უკუკავშირი და მან ბრძანა, რომ ბოლის გამწოვი კომპლექტაციაში არის და დამონტაჟებულია, თუმცა არ ჩანს ფოტოებზე. თუმცა, საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, სანამ არ ნახავდნენ მტკიცებულებას, რომ გამწოვი ნამდვილად დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს და შესაბამისად, უსაფრთხო გარემოს ქმნის შედულების აპარატურის გამოყენებისათვის სტუდენტებისთვის. გადაწყვეტილების მიღება გადაიდო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის დროისთვის.

დაწესებულებამ 20 მარტს გამოაგზავნა ფოტომასალა, სადაც ჩანს დამონტაჟებული ბოლის გამწოვი, განმარტა მისი ფუნქციონირების სქემა.

ექსპერტს სთხოვეს, საბჭოს წევრებისათვის წარმოედგინა ფოტომასალა და განემარტა, უზრუნველყოფილია თუ არა უსაფრთხოება. როგორც ექსპერტმა განმარტა, სრული კომპლექტი არის წარმოდგენილი და დამონტაჟებული და დაცულია უსაფრთხოების პირობები.

უსაფრთხოების სხვა პირობებიც დაცულია, ნაგებობა დაშორებულია ძირითადი საგანმანათლებლო ნაგებობისგან, შენობა აგებულია უწყვი მასალით, ასევე, იატაკი ბეტონისაა, სივრცე განათებულია და ის მინიმალური მოთხოვნები, რაც ჩარჩო დოკუმენტის მიხედვითაა მოთხოვნილი, დაცულია. გამოკრულია უსაფრთხოების წესები. ყველა პირობა შექმნილია, რათა სტუდენტმა უსაფრთხოდ იმუშაოს. კომპლექტაციაში შედის, ასევე, სპეციალური ჩაფხუტი და ფარი. სრულყოფილად იქნება როგორც სტუდენტის, ისე პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხოება დაცული. საბჭოს წევრებმა შესაძლებლად ჩათვალეს მიდინარე წლის 19 მარტის სხდომიდან გადმოტანილი საკითხის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შედულება“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:


მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შედულება“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, 16:53 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯაფარიძე შორენა

